899.962.1(09)
ჟ-204

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინგა შამილიშვილი

ეროვნული თემატიკა
რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში

10. 01. 01 - ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2003

899.962.1(09) 1920
შ-204 შამილიშვილი ი.
ეროვნული თემატიკა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინგა შამილიშვილი

ეროვნული თემატიკა რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში

10. 01. 01 - ქართული ლიტერატურა

-1920-

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2003

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **სოსო სიგუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ავთანდილ ნიკოლაიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
დავით კოტორაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წ. „23“ ივნისს
14 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის
(P 10. 01. №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ-ს სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.
მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

ავტორეფერატი გაიგზავნა 2003 წ. „18“ ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (ნ. ტაბიძე)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: ახალმა საუკუნემ თანადროული ლიტერატურის მრავალმხრივი ანალიზი მოითხოვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომავლობის გარკვევა, მათი განვითარების პროცესისა და კერძოდ, ეროვნულ ასპექტში წარმოჩენილი თავისებურებების კვლევა. ამიტომაც, ძალზე საგულისხმოა პარადოქსული მეოცე საუკუნის მოღვაწის, გამორჩეული ხელწერის ნოველისტის – რევაზ მიშველაძის ღრმად ეროვნულ მოტივებზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების ანალიზი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს შემოქმედის უმთავრესი ნიშან-თვისება – მოქალაქეობრივი პოზიციიდან დააფიქსიროს მთავარი სათქმელი, ეძიოს ერის ხსნის, ქვეყნის გადარჩენის გზები, რომელიც საქართველოს სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობაში, საზოგადოებაში ღრმად ეამჯდარი ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებელ ბრძოლასა და სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების დროულად გადაწყვეტაში ესახება. ყოვლისმომცველი ნიჰილისტური განწყობის ფონზე მისაბაძია რ. მიშველაძის ოპტიმიზმი, რომელიც თანამედროვეთათვის ერთგვარი მაგალითის ფუნქციასაც ითავსებს. განსაკუთრებით კი, ქართველი ახალგაზრდების სულიერ ძალთა მობილიზებისათვისაა სასარგებლო, სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის დღევანდელ ურთულეს ეტაპზე.

კვლევის საგანი და მიზანი: სადისერტაციო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს მწერლის შემოქმედების ერთი უმთავრესი ასპექტთაგანი, რასაც რევაზ მიშველაძის ნოველების ეროვნული პრობლემატიკა ჰქვია. მეტი კონკრეტულობისათვის – თუ როგორ აისახება ეროვნული საკითხები ამ უაღრესად საინტერესო ნოველისტის შემოქმედებაში, როგორია მწერლის თვალთახედვა, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები: ნაშრომის მეცნიერული სიახლე საკვლევი თემატიკის აქტუალობასა და თანადროულობასთან კავშირში მდგომარეობს.